საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 448 2017 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე

მუხლი 1. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (სსმ, 22/03/2017, №477-IIს) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხა თანდართული სახით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2017 წლის 5 ოქტომბრის
№ 448 დადგენილების
დანართი

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის
სპეციალური სამსახურების ნუსხა

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის განისაზღვროს სპეციალური სამსახურების შემდეგი ნუსხა:

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის:
ა) გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი);
ბ) კონტრდაზვერვის დეპარტამენტი;
გ) ანტიკორუფციული სააგენტო (დეპარტამენტი);
დ) კონტრტერორისტული ცენტრი (დეპარტამენტი);
ე) სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:
ა) გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი);
ბ) სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი;
გ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

3. სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ასევე საქართველოს დაზვერვის სამსახური და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი.